

## **ხშირად დასმული კითხვები**

### **რას არის მოქალაქეთა ასამბლეა?**

მოქალაქეთა ასამბლეა დემოკრატიის შედარებით ახალი ფორმაა, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა ქალაქის, ქვეყნის თუ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, როგორც ევროპის საბჭოა. მოქალაქეთა ასამბლეის წევრები არიან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოქალაქეები, რომლის ფორმირებაც ხორციელდება ისეთი დემოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორცაა გენდერი, ასაკი და ა.შ. ამგვარი ჯგუფები ქალაქის თუ ქვეყნის მიკრო-ვერსიას წარმოადგენს. მოქალაქეთა ასამბლეის დანიშნულებაა მოცემული საკითხის სიღრმისეული ანალიზი, სხვადასხვა გადაწყვეტილებების განხილვა, დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი და შემდეგ საბოლოო რეკომენდაციების შემუშავება და გადაწყვეტილებების მიღება.

### **რა დანიშნულება აქვს მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზებას?**

მოქალაქეთა ასამბლეა უზრუნველყოფს ხარისხიანი და კარგად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას. შემთხვევითი შერჩევის პროცესის და ჯგუფის შემადგენლობის ფორმირებისთვის დემოგრაფიული კრიტერიუმების გამოყენების მეშვეობით, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო რეკომენდაცია ითვალისწინებს საზოგადოების საერთო აზრს, რითაც გადაწყვეტილების მიღების შესანიშნავ საფუძველს ქმნის ადგილობრივი თემისთვის ან მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე.

### **სად ჩატარებულა მოქალაქეთა ასამბლეა წარსულში?**

ბოლო წლებში, მოქალაქეთა ასამბლეები სხვადასხვა ფორმით, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე ტარდებოდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, ირლანდია, პოლონეთი, კანადა, ბელგია, საფრანგეთი, აშშ და გაერთიანებული სამეფო.

### **რა სახის დემოკრატია წარმოადგენს იგი?**

მოქალაქეთა ასამბლეა წარმოადგენს სათათბირო დემოკრატიის ფორმას, ე.ი. დემოკრატია, როდესაც შემთხვევით შერჩეულ პირთა ჯგუფებს შორის დისკუსია და მსჯელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს. ამ ცნებაში, სიტყვა თათბირი ნიშნავს შემოთავაზებული გადაწყვეტის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას მცირე ჯგუფებში ან პლენარულ დისკუსიებზე. აღნიშნული მიდგომა მონაწილეებს ეხმარება გაეცნონ სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსაზრებებს, რათა უკეთ გააცნობიერონ კონკრეტული გადაწყვეტილებების განხორციელების გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე ან გარემოზე.

**ვინ უწევს კოორდინაციას მოქალაქეთა ასამბლეას?**

კარგ პრაქტიკას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისგან დამოუკიდებელი საკოორდინაციო გუნდის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია განსახილველ საკითხზე, მოქალაქეთა ასამბლეის შემუშავებასა და ჩატარებაზე. რუსთავის მოქალაქეთა ასამბლეის შემთხვევაში, პროცესის ინიციატორი რუსთავის მუნიციპალიტეტი იყო, მხარდამჭერი კი ევროპის საბჭო, ხოლო კოორდინატორი - საკოორდინაციო ჯგუფი.

**რატომ ხდება მოქალაქეთა შერჩევა შემთხვევითობის პრინციპით?**

შემთხვევითი შერჩევა ასამბლეის წევრებს შესაძლებლობას აძლევს იყვნენ დამოუკიდებლები გადაწყვეტილების მიღებისას. მათ შეუძლიათ კონცენტრირდნენ საკუთარ მოვალეობაზე არჩევნების, პარტიულ პოლიტიკისა თუ სხვა საკითხზე ყურადღების გადატანის გარეშე.

**რა ხდება მოქალაქეთა ასამბლეის რეკომენდაციებთან დაკავშირებით?**

საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ წინასწარი განცხადების გაკეთება, რომ მოქალაქეთა ასამბლეის რეკომენდაციები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მათ მხარს დაუჭერს ასამბლეის წევრების გარკვეული რაოდენობა (მაგალითად, 80%). თუმცა, მინიმუმ, ხელისუფლების ორგანოები მსჯელობენ მათ წინაშე წარდგენილ რეკომენდაციებზე და პასუხობენ მათ.

**რა განსხვავებაა მოქალაქეთა ასამბლეასა და ჩვეულებრივ საჯარო კონსულტაციებს შორის?**

მოქალაქეთა ასამბლეაში ჯგუფის შემადგენლობა ასახავს თემის მთელ რიგ დემოგრაფიულ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, მოქალაქეთა ასამბლეა, ამ ჭრილში, უფრო წარმომადგენლობითია, ვიდრე ჩვეულებრივი ღია საჯარო კონსულტაციები. ასამბლეის სხდომები იწყება სასწავლო ეტაპით და ექსპერტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრეზენტაციების წარდგენით. შესაბამისად, მოქალაქეთა ასამბლეას შეუძლია სიღრმისეულად განიხილოს მოცემული საკითხი და დადოს ხარისხიანი შედეგები.

### **ვის შეუძლია ასამბლეის წევრობა?**

რუსთავის მოქალაქეთა ასამბლეის შემთხვევაში, წევრობა შეუძლია რუსთავის ნებისმიერ სრულწლოვან მაცხოვრებელს. პირველ ეტაპზე, მოწვევა გაეგზავნებათ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ოჯახებს და საბოლოო ჯგუფი ასამბლეის 36 წევრის შემადგენლობით ასევე შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა იმ პირებიდან, რომლებიც მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდნენ. თუმცა, არსებობს შეუსაბამობის კრიტერიუმების ჩამონათვალი, მაგალითად, არჩეული პოლიტიკოსი ან მაღალი რანგის საჯარო მოხელე, რომლის საქმიანობაც ასამბლეის განსახილველ თემასთან არის დაკავშირებული. შეუსაბამობის კრიტერიუმების შექმნის მიზანი პროცესის სანდოობის უზრუნველყოფაა.

### **რა დანიშნულება აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოქალაქეთა ასამბლეაში?**

მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზების პროცესში განსაზღვრულია სპეციალური ფუნქციები ყველა ჩართული მხარისთვის, როგორებიცაა ინსტიტუტები, მოქალაქეთა არაფორმალური ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ყველა მათგანს გააჩნია კონკრეტული საკითხების შემოთავაზების უფლება, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს ასამბლეაში ე.წ. სასწავლო ეტაპზე, ხოლო ექსპერტებმა უნდა წარმოადგინონ პრეზენტაციები, მათ ასევე საკუთარი რეკომენდაციების შეთავაზებაც შეუძლიათ. დაინტერესებული მხარეების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ასამბლეის წესების კრებულში.

### **არიან თუ არა პოლიტიკოსები ასამბლეის წევრები?**

მოქალაქეთა ასამბლეის შემთხვევაში, მერებისა და ქალაქის საბჭოების წარმომადგენლებს ყველა პოლიტიკური კოალიციებიდან იწვევენ ე.წ. ზედამხედველობის ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მათ ასამბლეის წევრობის უფლება არ აქვთ. როგორც ზედამხედველობის გუნდის წევრები, მათი როლი არის უზრუნველყონ, რომ საკოორდინაციო გუნდი იცავდეს ასამბლეის სტანდარტებს.

### **რამდენ ხანს გრძელდება მოქალაქეთა ასამბლეა?**

მოქალაქეთა ასამბლეა გრძელვადიან პროცესს წარმოადგენს. ასამბლეის შეხვედრები შეიძლება რამდენიმე კვირას ან თვეს გაგრძელდეს, რაც დამოკიდებულია განსახილველ საკითხზე, ბიუჯეტზე და იმაზე, თუ როგორაა პროცესი დაგეგმილი.

### **რატომ უნდა გახდნენ მაცხოვრებლები ასამბლეის წევრები?**

როდესაც პირი ასამბლეის წევრი ხდება, მას შეუძლია წვლილი შეიტანოს ქალაქის ან ქვეყნის განვითარებაში. ასევე, ასამბლეის წევრებს შეუძლიათ შეისწავლონ განსახილველი საკითხი და გაიციონ ახალი ადამიანები.

**ჩვეულებრივ, ვისი დავალებით ხდება მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზება?**

მოქალაქეთა ასამბლეების ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების დავალებით ან დამოუკიდებელი პროცესების სახით. სახელმწიფო ორგანოების მიერ ასამბლეის ორგანიზების ინიცირების უპირატესობაა ის, რომ პოტენციურად უფრო მასშტაბური მხარდაჭერა ექნება პროცესს და, შესაბამისად, რეკომენდაციების შესრულების შანსს ზრდის. ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეთა ასამბლეას სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ.

**რა სარგებელი აქვთ სახელმწიფო ორგანოებს მოქალაქეთა ასამბლეების ჩატარებისგან?**

მოქალაქეთა ასამბლეის ორგანიზების უმთავრესი უპირატესობა საჯარო ხელისუფლების ორგანოსთვის მდგომარეობს შესაძლებლობაში, შეიტყონ თუ რა არის მოქალაქეთა აზრით საუკეთესო არჩევანი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მისი სიღრმისეულად შესწავლის და შესაძლო ვარიანტების განხილვის შემდგომ. მოქალაქეთა ასამბლეა უზრუნველყოფს კარგად გააზრებული რეკომენდაციების შემუშავებას, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს სახელმწიფო ორგანოები.

**რას არის განხილვის/თათბირის პროცესი?**

მსჯელობა/განხილვა მოქალაქეთა მონაწილეობის მოწინავე პრაქტიკას წარმოადგენს, რომელიც ბევრ ქვეყანაში გამოიყენება, როდესაც ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჯგუფების წარმომადგენლთა ჩართვა სურთ. მსჯელობის პროცესი შედგება ოთხი ძირითადი ეტაპისგან: მოქალაქეთა შერჩევა, სწავლის და შესაძლებლობების ზრდა, კონსულტაცია და მსჯელობა/განხილვა. თითოეული ეტაპის განმავლობაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ფართო საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების მრავალმხრივი მონაწილეობა. ამას მიყვარს უფრო სრულყოფილი და ინფორმაციული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამდე, და შესაძლოა, უფრო ეფექტური გადაწყვეტილების მიღებამდე. საბოლოო ჯამში, ეს ზრდის საზოგადოების ნდობას ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.